სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურებების შესყიდვის საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი №1

ქ. თბილისი „ 29 “ ივლისი 2014 წელი

სხდომას ესწრებოდნენ: ლევან უჯმაჯურიძე- საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე

ნიკოლოზ პაპიძე - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

ავთანდილ კორახაშვილი- კომისიის წევრი

გივი ბასილაძე - კომისიის წევრი

ნატალია ხომასურიძე - კომისიის წევრი.

რევაზ სიჭინავა - კომისიის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა თენგიზ ქურდაძე – მივლინებაში ყოფნის გამო

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ, კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურერბების შესყიდვაზე საკონკურსო განცხადების ტექსტისა და საკონკურსო დოკუმეტნაციის განხილვა- დამტკიცება.

განხილვა : საკონკურსო კომისიის წევრმა რევაზ სიჭინავამ კომისიას წარუდგინა საკონკურსო განცხადებისა და დოკუმენტაციის პროექტი, რომელიც ეხება სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კუთვნილი, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სელექციის დასახლებაში მდებარე შენობის (საკადასტრო კოდი 72.02.42.280) ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორიად გადაკეთებასთან დაკავშირებული სარეკონსტრუქციო, ამავე შენობის მიმდებარედ დამხმარე ნაგებობების (აირების საცავი საკომპრესორო, თხევადი და აალებადი რეაქტივების საწყობი) მშენებლობასთან დაკავშირებული და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების წარმოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვას.

საკონკურსო კომისიის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი განცხადება, რის შემდეგაც აღნიშნეს, რომ იგი სრულად შეესაბამება „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო

შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მოთხოვნებს.

დაადგინეს:

- დამტკიცდეს კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების შესყიდვაზე საკონკურსო განცხადება და დოკუმენტაცია წინამდებარე ოქმზე დართული ფორმითა და რედაქციით.
- კომისიის აპარატს დაევალოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობების და წესი“-ს შესაბამისი პროცედურების განხორციელება.

კომისიის თავჯდომარე — ლევან უჯმაჯურიძე

კომისიის თავჯდომარის მოადგილე — ნიკოლოზ პაპიძე

კომისიის წევრები:

ავთანდილ კორახაშვილი

გივი ბასილაძე

ნატალია ხომასურიძე

რევაზ სიჭინავა